№ 25 | 1877 – 1897 | № 25

პარასკევი, 14 თებერვალი 1897 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ. — ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

# ივერია

პარასკევი, 14 თებერვალი 1897 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი №227

## „ივერია"

გამოვა 1897 წელს

იმავე პროგრამმით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

| | მ. | კ. | | მ. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 თვით და 13 დღით | 9 | 60 | 6 „ | 6 | „ |
| 11 „ | 9 | 50 | 5 „ | 5 | 50 |
| 10 „ | 8 | 75 | 4 „ | 4 | 75 |
| 9 „ | 8 | „ | 3 „ | 3 | 50 |
| 8 „ | 7 | 25 | 2 „ | 2 | 75 |
| 7 „ | 6 | 50 | 1 „ | 1 | 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ღირება 17 მ.

ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція „Иверія".

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერიის" რედაქციაში, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21 დ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სადმე ქალაქს გარედვე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

### 1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხის თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.

ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

### რედაქციისაგან

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც ნახევარ წლით აქვთ დაკვეთილი გაზეთი შარშანდელ წლის პირველ იანვრიდგან, გაზეთის გზავნა მოესპობათ ამ წლის პირველს მარტს, რადგან შარშან ოთხი თვე და ჩვიდმეტი დღე მიღებული აქვთ გაზეთი და ეხლაც ერთის თვისა და ცამეტის დღის გაზეთი პირველ მარტამდე შეუსრულდებათ. ვისაც ჰსურს პირველ მარტიდამ ამ წლის დამლევამდე მიიღოს გაზეთი, უნდა გამოგზავნოს ათის თვის ფასი გაზეთისა 8 მან. 33 კაპ.

### საბჭო

სასოფლო სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა აცხადებს, რომ წლიური მორიგი საერთო კრება საზოგადოების წევრთა დანიშნულია კვირას, 2 მარტს, დილით საათის ათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის სადგურში.

განსახილველი საგნები:

1, წლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.

2, რჩევის მოხსენება სათადარიგო თანხის შედგენის გამო.

3, 1897 წლის ხარჯის აღრიცხვა.

4, არჩევანი ორის დეპუტატისა და ერთის დირექტორისა, რომელთაც სამსახურის ვადა შეუსრულდათ.

რწმუნების ქაღალდები უნდა წარმოადგინონ კრების დაწყებამდის სამის დღით წინად მაინც.

(1—6·—1)

## ახალი ამბავი

—

*** ბ-ნ ტფილისის პოლიცმეისტერს, კავკასიის მთავარ-მმართებლის განკარგულების თანახმად ტფილისის გასუფთავების ღონისძიებათა მისაღებად 12 თებერვალს ტფილისის ქალაქის მოურავისათვის შემდეგი შინაარსის ქაღალდი გაუგზავნია: 1) კარგად უნდა გასუფთავდეს და დეზინფექციით უზრუნველ-ყოფილ იქმნას ქალაქის ჯირგინები; 2) მუდამ დღე უნდა გასუფთავდეს და დეზინფექციით უზრუნველ-ყოფილ იქმნას ის ადგილები, საცა ეტლები სდგებიან; 3) დაუყოვნებლივ სხვა უფრო შესაფერი ადგილი უჩვენეთ ტვირთის მზიდავთა ეტლებს, რომლებიც აქამდის იარმუკაში იდგნენ, და 4) უფრო ხშირ-ხშირად უნდა გაიწმინდოს ყველა დიდი და პატარა ქუჩებიო. ამასთანავე ბ-ნი მასტიცკი აუწყებს ქალაქის თავს, რომ ჩემის ბრძანებით პოლიციის მოხელეებმა ყველა კარ-მიდამო დაათვალიერეს და აღმოჩნდა, რომ ბევრგან დიდი უსუფთაობა არის. რის გამოც ზოგიერთი სახლის პატრონები სამართალში იქმნა მიცემულიო.

*** ოთხშაბათს, 12 თებერვალს ბ ნ ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის საბენეფისოდ გამართულს წარმოდგენას დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო. მთელს თეატრში თავისუფალი ადგილი აღარ იყო. მობენეფისეს რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი მიართვეს და დიდის ამბით დაუხვდნენ. წარმოდგენის დასასრულს იგი შუშხუნებითა და ფერადის ფარნებით, ზურნა-დაფით გააცილეს სახლამდე. ამ წარმოდგენის დაწვრილებითს ანგარიშს ცალკე დავბეჭდავთ.

*** ჩვენ მოგვივიდა ქართველთა ამხანაგობის მიერ ცალკე წიგნად გამოცემული რომანი გენრიკ სენკევიჩისა: „ცეცხლითა და მახვილითა", რომელიც სთარგმნა ბ-ნმა გრ. ყიფშიძემ და „მოამბე"-ს ნომრებში იბეჭდებოდა. წიგნი სუფთად და ლაზათიანად არის გამოცემული. შეიცავს 976 გვერდს და ჰღირს 1 მან. 60 კაპ.

*** ამ დღეებში საბაჟო გარდასახადთა დეპარტამენტმა აცნობა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას, რომ დეპარტამენტის მიერ განხილულ იქმნა ის საგანი, თუ რა ბაჟი უნდა გარდახდეს უცხოეთიდგან გამოწერილს ფხვნილს, რომელსაც ვაზის ობის წინააღმდეგ ჰხმარობენ ვენახის პატრონნი, და დავადგინეთ, რომ ამ წამლის გამომწერს ფუთზედ მანეთ ნახევარი გარდახდეს ბაჟადაო.

*** სასანიტარო-საექიმო ინსპექტორმა ბ-ნმა სტეფანოვმა წინადადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში, რომ განსაკუთრებული საავადმყოფო დავაარსოთ საოფლეთი ავადმყოფთათვისაო. ეს წინადადება განუხილავს კიდეც გამგეობას და მოუწონია და ხარჯთ-აღრიცხვაც შეუდგენიათ კიდეც. ამ ხარჯთ-აღრიცხვით საავადმყოფოს დაარსებას ერთ-დროებითად მოუნდება 2,000 მან., ხოლო შემდეგ მის შენახვას მომავალ წლის პირველ იანვრამდე—8,000 მან.

*** ჩვენის ქვეყნის ბევრს კუთხეს ავლებენ მინდვრის თაგვები მუსრს და საბრალო სოფლის მეურნე ძალიან გაჭირვებულია ამ მხრივ, რადგან არ შეუძლიან ბრძოლა ამ ნათესის მტერთან. ხელთ არავითარი საშუალება არა აქვს ამ ბრძოლისათვის. რამდენიმე წამალი იქმნა დასახელებული ამ მინდვრის გამჩანაგებელის გასაწყვეტად. სცადა კიდეც ეს საშუალებანი კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ, მაგრამ არც ერთმა არ ივარგა. ეხლა ამ საზოგადოებას განუზრახავს იშუამდგომლოს მიწადმოქმედების მინისტრის წინაშე, რომ გამოგზავნილ იქმნენ საქართველოში მინდვრის თაგვებთან ბრძოლის კარგად მცოდნენიო.

*** დღეს, 14 თებერვალს, საღამოს 8 საათზედ, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას კრება აქვს, რომელზედაც სჯა-ბაასი ექმნება იმის შესახებ, რომ რკინის გზის მომხმარებელ საზოგადოებას თითონ სოფლის მეურნეებმა მიაწოდონ თავიანთი ნაწარმოები.

*** როგორც „კავკ. სელ. ხაზ." იუწყება, საფინანსო სამინისტროს ნახევრად შეუმცირებია ბაჟი იმ კარგის ჯიშის რქიან საქონელზედ, რომელსაც თავისს მამულში მოსაშენებლად საზღვარ გარეთიდგან გამოიწერენ სოფლის მეურნენი.

*** ტფილისის გაზეთებს აუწყებენ პეტერბურგიდგან, რომ 39-ტე არტილერიის ბრიგადის უფროსი, თავადი გ. ს. ხიმშიაშვილი, კავკასიის გრენადერის არტილერიის ბრიგადის უფროსად იქმნა დანიშნულიო.

*** „ტიფ. ლისტ."-ის სიტყვით, ტფილისის გუბერნატორის განსაკუთრებულ საქმეთა მინდობილობის უმცროსი მოხელე თავ. ჯანდიერი გორის მაზრის უფროსის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად დაუნიშნავთ.

*** 3-დგამ 12 თებერვლამდე ქ. ტფილისში გადამდების სენით 42 კაცი გამხდარა ავად: ქუნთრუშით

## ფელეტონი

—

### მაგისი რა ბრალია?!

მოთხრობა სვანების ცხოვრებიდგან *)

ქალის წყნარი, ზანტი სიარული, მოდიდო მუცელი, დამჭლევებული ლოყები და წითელი ცხვირი ამტკიცებდა, რომ ის არა ჩვეულებრივს მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო...

ის ნელ-ნელა მიაბიჯებდა; ხან, რომ ველარ შესძლებდა სიარულს, შესდგებოდა, ხან გაუჩქარებდა ნაბიჯსა, მაგრამ მალე დასუსტდებოდა და ისევ შეჩერდებოდა. ზოგან დაქანცული დაეცემოდა დედამიწაზედ და ქვითინს მოჰყვებოდა. ამ მდგომარეობაში რჩებოდა, ვიდრე თანამგზავრი მისი ძმა, ზურაბი, არ დაუბრუნდებოდა უკან და ლანძღვა-გინებით არ ააყენებდა: ახია შენზედ ეგ წვალება, ახია! პატიოსანის ოჯახის შერცხვენისათვის ყველაფერი გეკუთვნის! არავითარი სატანჯველი არ არის შენთვის დიდი! ახია, გეკუთვნისო!..."

ამ სიტყვებით წამოაყენებდა ხოლმე ძმა დას, რომლის პასუხი ვაება და ქვითინი-ღა იყო, და გაუდგებოდნენ გზას. ამ ვაი-ვაგლახით აალწიეს მათ მთის წვერს, სადაც ერთს ალაგას ორი ქვა ჯვარედინად, გარდი-გარდმო დაედოთ. ზურაბმა მოიხადა ნაბდის ქუდი, პირჯვარი გამოისახა და სთქვა:—„დიდაბუ აჯხედა ხომაამ ღერბათ, ერე ამავ შვიდებდ ანუხ!" (დიდება შენდა, მაღალო ღმერთო, რომ აქამდის მშვიდობით მოგვიყვანე!) იმისს მაგალითს მიჰყვა ქალიც და შემდეგ ორნივენი დაეშვნენ თავდაღმართზედ.

აქ ბუნება იმავე სილამაზით იყო შემკული, როგორც მთის მეორე მხრით. რამდენისამე ხნის სიარულის შემდეგ მგზავრებმა წყაროს მახლობლად მოისვენეს. ამწვანებული ბალახი იქაურობას ამშვენებდა და სურნელოვანებასა ჰფენდა; ანკარა წყაროს ჩუხჩუხი მედგრად გაისმოდა და ბუნებას აღვიძებდა. წყაროს მოშორებით, მეორე მხრით თოვლის წყალი გადადიოდა კლდიდგან ხმაურობით, წყალვარდნილს აკეთებდა, გზაზედ წვრილს ნამებად იქცეოდა, კლდის ნაპირებსა რწყავდა და ხევამდე ველარ აწევდა; აქა-იქ ბალახებს ამოეყოთ თავი და, თითქოს გადმომჩქეფარე წყალს შეჰხარიან და მადლობას უძღვნიანო, ნაზად ირხეოდნენ. ამ ადგილს ისეთი მაღალი მდებარეობა უჭირავს, რომ იქიდგან ხევში გადახედვა ძნელია: კაცს თვალს აუჭრელებს და შიშის ჟრუანტელს მოჰგვრის, ისეთი უფსკრული უდევს წინ ამ მთას.

მგზავრებმა გული ცივის წყლით გაიგრილეს და იქვე მოშორებით ჩამოსხდნენ. ქალი წამოწვა თუ არა, იმ წამსვე საშინელი ქვითინი მორთო; ქვითინს ზედ კვნესა მოჰყვა, გული მალ-მალ უცემდა და თავისუფლად ამოსუნთქვას უშლიდა.—ვინ იცის, რასა ჰგრძნობდა ამ დროს ეს საწყალი სუსტი არსება?.. ვინ იცის, რა ფიქრებს შეეპყრო იმისი გული? ვინ იცის, რა ჰქენჯნიდა და რა სტანჯავდა?...

ეს რომ ამ მდგომარეობაში იყო, მისი დაღვრემილი ძმა ისევ იმ სიტყვებს იმეორებდა:

— ახია შენზედ, ახია! შენ შეარცხვინე პატიოსანი ოჯახი, შეარცხვინე შენი მამა, ის მამა, რომელმაც გამოგზარდა და რომელიც მთელს ხევში პატიოსნობითაა განთქმული... შეჰბღალე დედა შენის ხსენება, სახელი!.. შეარცხვინე შენი ძმები, დები, ნათესავები!.. შემარცხვინე მეც, შენი ძმა, რომელიც მთელის ოჯახის პატიოსნებით ვამაყობდი და რომელსაც ყოველგან დიდი სალამი მელოდა! მაგრამ იცოდე, რომ ამიერიდგან ჩემი და აღარა ხარ და მე შენი ძმა... რა პასუხს აძლევ შენს პატიოსანს ოჯახს, მოხუცებულს მამას!? განა ამიერიდგან ღირსი ხარ იმას მამა დაუძახო?!. არა, არა... ათასჯერ არა... სამუდამოდა გყავს დაკარგული მამა, ძმები, დები, ნათესავები და ყოველივე ბედნიერება!..

ამ სიტყვებმა ქალს დანასავით გაუარა გულში. სახე-გაფითრებული წამოიწია და მტირალის ხმით დაიწყო:

— მტარვალნო, მტარვალნო!.. რას მერჩით, რას!.. ვსთქვათ, დამნაშავე ვარ, შევარცხვინე მთელი ოჯახი, მამა ჩე...მი, შეგარცხვინეთ თქვენც, ძმები, დები!.. მაგრამ ნუთუ მცირეოდენი შებრალება არა გაქვთ ადამიანისა!?. სხვა არა იყოსრა, წარმოიდგინეთ ჩემი თავი უცხოდ, უპატრონოდ, უცნობ, საწყალ ადამიანად, წარმოიდგინეთ და ნუთუ არ შემიბრალებთ მე საწყალს, მე უბედურსა?!. ოხ, ღმერთო ჩემო!

*) იხ. „ივერია" № 24.

9, საოფლით 11, ხუნაგით—5, წითელათი 17.

*** ფოთი. დიდი ხანია, რაც ჩვენი ქალაქის მკვიდნი ჰგრძნობდნენ საქალაქო საკრედიტო საზოგადოების აუცილებელს საჭიროებას. ამდენს ხანს თუ ჩვენში ვისმეს ფული დასჭირდებოდა, იძულებული იყო მიემართა თბილისის ან ქუთაისის—სააღგილმამულო ბანკებისათვის. ეს ძალიან ძნელი მოსახერხებელი იყო აქაურ მოქალაქეთათვის და ამიტომ განიზრახეს საკრედიტო საზოგადოების დაარსება ფოთში. ამ მოკლე ხანში კიდეც შეიმუშავეს პროექტი ფოთის საქალაქო კრედიტის საზოგადოების წეს-დებისა და დასამტკიცებლადაც წარადგინეს. დარწმუნებული ვართ, რომ ფოთელებს მალე შეუსრულდება დიდი ხნის ნატვრა და თავისს საკუთარს საკრედიტო საზოგადოებას ეღირსებიან.

*** მონადირეთა საზოგადოების ტფილისის განყოფილებამ ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს სთხოვა,—საზოგადოების ზოგიერთ წევრებს მოწმობა მიეცით, რომ იმათ თვალ-ყური ეჭიროსთ—იმ თვეებში, როდესაც ნადირობა აღკრძალულიაო, არავინ ინადიროს და სამართალში მისცენ ის ვაჭრები, რომელნიც ამდროს ნანადირევს ფრინველს გაჰყიდიანო.

როგორც „ტფ. ლისტ.“ იუწყება ხსენებულ საზოგადოების ერთ წევრს იარმუკაში ერთის ვაჭრის დუქანში მრავალი ტყის-ქათამი და სხვა ნანადირევი უპოვია, რის გამოც პოლიციის დახმარებით მოვაჭრისათვის ყველა ეს ნანადირევი წაურთმევია და ყრმათა თავ-შესაფარ სადგურში გაუგზავნია.

*** გორი. 7 თებერვალს აქ ქალაქის წარმომადგენელთა კრება იყო, რომელმაც დაადგინა: მოედნები და ქუჩები გასუფთავდეს და ამ საქმისთვის 300 მან. გადაიდოს; ნაგვისა და ტალახის გასატანად ურმები იქმნას დაქირავებული და თუ შავი ჭირი გაჩნდა კავკასიაში, 4,000 მან. სესხად აღების ნება-რთვა ვთხოვოთ მთავრობასაო.

*** დ. ჩოხატაური. ჩვენებური გლეხები წრევანდლამდე ძლიერ მისდევდენ ერთს მეტად თვალ-საჩინო და სასარგებლო მეურნეობას—„მეთუთუნეობას“ და იმითი უძლვებოდნენ მრავალს სახელმწიფო თუ საბატონო გარდასახადს. წელს ამასაც თავი გაანებეს აქაურებმა. მიზეზი ის გარემოება გახლდათ, რომ ჩარჩ-ბაცაცებმა, რაკი ბლომად დაინახეს თუთუნი, ფასი ერთობ დაუწიეს, თუ წინა წლებში 6—8 მანეთამდე იძლეოდნენ ფუთს თუთუნში, ეხლა 2—3 მანეთზედ მეტს არავინ იძლევა. ასე ფასის დაწევის მიზეზად იმას ასახელებდნენ, რომ უცხო ქვეყნელებმა მეტოქეობა გაგვიწიესო. თუ თუთუნს ნახევარ ფასად არ მოგვცემთ, აღარ ვიყიდითო. რა ექმნა უმეცარს ხალხს, ადგნენ და დათანხმდნენ. ამიტომ წელს ძლიერ მცირე მოიყვანეს. სასურველია, რომ გურიის ამხანაგობამ „შუამავალმა“ ყურადღება მიაქციოს ამ მეტად თვალსაჩინო საქმეს და შეძლებისა დაგვარად დაიხსნას ჩარჩ-ბაცაცების ბასრის კლანჭებიდგან დიდად შევიწროებული გლეხკაცობა...

*** ხელ-მოკლე აზნაურშვილის ოჯახის სასარგებლოდ მივიღეთ კიდევ: ს. კასრაძისაგან მის მიერ ნაცნობებში შეკრებილი 5 მან., ა. გ—საგან—5 მ., ო. ლ. შავგულიძისაგან—5 მ., აზ. კ. მ. ქელიძისაგან—5 მან. და ლ. ჯანელიძისაგან—3 მან., სულ ამ ხელად 23 მან., ხოლო წინად მიღებულ 17 მან. 40 კაპ: ერთად შესდგა 40 მან. 40 კაპ.

## თეატრის მატიანე

ბენეფისი კ. ს. ალექსი-მესხიშვილისა **უპატიოსნონი არ იბადებიან**, დრამა 3 მოქმედებად ჯელორამო როკეტტისა.

**შეცდომა**, კომედია 2 მოქმედ. თავ. ი. ბარათაშვილისა.

ეს ორივე პიესა პირველად იყო წარმოდგენილი გუშინწინ, 12 თებერვალს, და ამიტომ საჭიროდ ვთვლით ორიოდე სიტყვით მოვიხსენიოთ მისი შინაარსი, მით უფრო, რომ ჯელორამო როკეტტის პიესა დაჯილდოვებულია და მისი, როგორც მოწონებულის პიესის, განხილვა უფრო დაწვრილებით დაგვჭირდება. ამას საჭიროდ ჰქმნის ის გარემოებაც, რომ გუშინწინდელს წარმოდგენას დიდი ძალი საზოგადოება დაესწრო და, რამდენადაც ჩვენ მოვკარით ყური, როკეტტის შესახებ ორ გვარი აზრი გამოითქვა: ერთნი დიდად ნიჭიერ ნაწარმოებად სთვლიდნენ, მეორენი—სულ არა რად და უკვირდათ კიდეც, აქ დასაჯილდოებელი რა იყოო.

აი, მოკლედ „უპატიოსნონი არ იბადებიან“-ის შინაარსი: კარლ მორრეტის, ბანკის მოხელე, ჩინებულადა სცხოვრებს, თუმცა მცირე ჯამაგირი აქვს. მიზეზი ამისი პირველ მოქმედებაშივე გამოირკვევა, როდესაც მორრეტის მშვენიერი ცოლი ელიზა თავისის ხარჯის ანგარიშებს წარუდგენს თავისს არშიყს და მფარველს, ბანკის უფროსს მოხუცს პეპინო სიჯისმონდის. მოხუცი იხდის იმ ვალებს და უბის წიგნში იწერავს. დიაღ, ელიზა ქმარს ჰღალატობს, მაგრამ იმიტომ-კი არა, რომ არ უყვარდეს, არა, უყვარს საშინლად, გაგიჟებით უყვარს, მაგრამ სიტკბოებას ფუფუნებით ცხოვრებისას გადაუცდენია იგი სიმართლის გზისათვის. ჰგრძნობს, რომ ცუდად ვიქცევიო, მაგრამ მაინც ძალა არა აქვს, ამ ცუდს ქცევას განშორდეს, უკუ აგდოს იგი. როგორც სუსტი, უხასიათო არსება, თვითვე ჰკიცხავს თავის თავს და თვითვე სჩადის იმავე დანაშაულს ამ მისის სიცუდის შეგნების, მისის გაკიცხვის შემდეგ. „დამნაშავე ვარო“, ამბობს იგი და აი რას უპასუხებს „პეპინოს: აქ არავინ არ არის დამნაშავე. შენს ქმარს ღარიბს მოხელეს, არ უნდა შეერთო განებივრებული, ფუფუნებით ცხოვრებას მიჩვეული ყმაწვილი ქალიო. ის სრულიად უვიცია ცხოვრების ავ-კარგისაო“. და მართლაც, რომ საოცარი თვალ-ახვეული კაცია მორრეტი, ხელ-გაშლითა სცხოვრებს. არაფერს იკლებს და ერთხელ არ იკითხავს, საიდან მოდის ფული ასეთი ცხოვრებისათვისაო.

ამ დროს შემოდის ელიზასთან ქ-ნი დე-ფორნარისი, რომლის ქმარიც ამავე ბანკის კასსირი ყოფილა, სადაც კარლი ჰმსახურებს, დიდის წვრილ-შვილის შესანახად ბანკის ფული შემოჰხარჯვია და დაპატიმრებულია. მისი უბედური ცოლი ელიზასა სთხოვს დახმარებას, შენი ქმარია კასსის საანგარიშოდ დანიშნული, მიშველე რამე. მეც ვეცდები შევავსო მის მიერ გაფლანგული, იქნება ამან სასჯელი შეუმსუბუქოსო. ამასობაში პეპინოს, უფროსი ბანკისა, ვიღაც ბოროტ-მოქმედნი დასხმიან თავს ქუჩაში და მოუკლავთ. ამ ამბით, პიესის მომქმედნი დიდად შეწუხებულნი არიან, განსაკუთრებით კარლი, რომელსაც პეპინო თავისს მფარველად ეგულებოდა.

ამავე მოქმედებაში თავს იჩენს ელიზას მამა—ორლანდო ორლანდი, ესეც უხასიათო, უმაქნისი ვითომ-და ლიტერატორი, რომელსაც პეპინო ორის სიტყვით ახასიათებს: „ეს არ მიჩნეულნი მჩხაბნელნი დიდად თავმომწონენი და ზარმაცნი არიან!.. ეგენი შეადგენენ წყლულს საზოგადოებისასა“, ეუბნება იგი ელიზას. ორლანდო არაფრის კეთებაშია, იგი მუქთად სცხოვრობს თავისს სიძესთან და სულ იმას ამბობს, რომ ვწერ დიდს რომანს, რომელიც თითქმის დამთავრებულიც მაქვს, რადგან სათაური გამოვუძებნე კიდეც, „უფსკრული და მთა წამებისაო“, ეხლა მხოლოდ დაწერა-ღა სჭირიაო. ამასთან იგი ჯიბის ფულსაც-კი ქალიშვილსა სთხოვს და გოგოს ტერეზას ეარშიყება. აი მთელი ზნეობრივი სურათი ამ კაცისა, რომელიც მწერალს უწოდებს თავისს თავს და რომლის აღზრდილიც არის ელიზა.

აქ დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ კარლი არ ეკარება ქ-ნს დეფორნარის, რადგან: „დე-ფორნარისი ქურდი იყო. გაქურდვა იმ კასსისა, რომელიც იმისს პატიოსნებას ანდეს,—ასეთს საქციელს სახელიც-კი ძნელად მოეძებნებაო. იქნება მითხრან, რომ შესცდაო, რომ დიდად გაჭირვებული იყოო, შეიძლება, მაგრამ ამითი ვერ მოიბოდიშებს თავს. ყველა,'ვინც იპარავს, იპარავს იმიტომ, რომ უჭირს. მე ხელის მოგდებინებას უფრო ადვილად ვიკისრებ, ვიდრე იმას, რომ ამ ხელით იმ ფულს შევეხო, რომელიც მე მაქვს მონდობილიო“. და როდესაც ცოლი სთხოვს შეიბრალეო, კარლი უპასუხებს: „მე ჩემს შებრალებას იმათთვის ვინახავ, რომელნიც პატიოსანნი არიან, თუმცა დიდს გაჭირვებას-კი იტანენო“.

ამ გვარად პირველსავე მოქმედებაში ავტორის მიერ დახასიათებულნი არიან თითქმის ყოველნი მომქმედნი და მათი ცხოვრება და სულიერი ვინაობა ჩვენ თვალ-წინ გადაშლილია.

მეორე მოქმედებაში კარლის ოჯახს პეპინოს სიკვდილი დასტყობია: აღარა აქვთ ისე ზღვა-ულეველად ყოველიფერი, როგორც წინადა ჰქონდათ; მოსამსახურენი ისე პატივისცემით აღარ ეკიდებიან არც კარლოსა და არც ელიზას. სიღარიბეს თავისი ბეჭედი დაუსვამს ამ ოჯახისათვის. ამასობაში პეპინო ისე მომკვდარა, რომ უკანასკნელი ვალი ვერ გარდაუხდია თავისის საყვარლისა—ელიზასი. მოახლე ტერეზა იქამდე თავს გადის, რაკი ჰხედავს ამ ოჯახს სიღარიბე დაატყდა თავს და ვეღარას გამოვრჩებიო, რომ თავს ანებებს და გადის. იმას მისდევს ელიზას მამაც, ორლანდო. ამასობაში ვაჭარი ფიანნა ვალსა სთხოვს ელიზას და ეს წერილი ქმარს ჩაუვარდება ხელში. უკვირს რად მატყუებდა, თუ ვალები ჰქონდაო. მოვა ცოლი და როდესაც კარლი ჰკითხავს, რა ვალი გქონიაო, ელიზა სრულიად დაიბნევა, არ უნდა ვაჭრის ანგარიშები დაანებოს, მაგრამ ქმარი ძალათი გასტეხავს მაგიდის უჯრას, აიღებს ანგარიშებს, შეადარებს პეპინოს უბის წიგნს, რომელიც იმას ჩავარდნია ხელში, და მიხვდება, რომ ხარჯის რიცხვები ერთი და იგივეა.

აქ დაიწყება „ახილება თვალისა“. ელიზა თავს დანაშაულად აღიარებს, ამბობს: „ყოველთვის' უხასიათო ვიყავი, ცხოვრებისა არა გამეგებოდარა და გაუჭირვებლად ვცხოვრობდიო... ამან დამღუპაო“... უნდა ჩაიცვას და ქმარს განშორდეს, მაგრამ ქმარი შეაჩერებს: არა, ვერსად წახვალ. არავინ არ უნდა შეიტყოს, ეჭვიც კი არ უნდა გაიტაროს ფიქრში, რომ პეპინო გყვარობდა და იმის წყალობით ვცხოვრობდით ასე. ვიცხოვროთ ისე, როგორც ვცხოვრობდით... ეს იქნება ჩვენი სასჯელი... ვხარჯოთ ფული უწინდელებრ, უფრო მეტიც“... ამ დროს კვლავ ფიანნას კაცი მოდის ვალის მისაღებად... კარლს ფული აქვს, ეს ფული ქ-ნ დე-ფორნარმა გარდასცა, რომ ქმრის ვალი შეევსო ბანკში, და კარლმაც, როგორც ახალმა კასსირმა, ბარათი მისცა ფულის მიღებისა. ამოიღებს ამ ფულს და ცოლის ვალს გარდაიხდის, შემდეგ დაიწყებს ქვითინს და ამბობს: „ეს ფული დე-ფორნარისაა... მაგრამ ხვალვე შევიტან ბანკში, უეჭველად შევიტანო.“

---

ზურაბ, ქახმუგინ, ერე გააშენე სი მალტუნდას ი მალატ ი მაად მაგად ამ გვარდ ლიშდაბ!.. (ზურაბ, გაიხსენე, რომ სუყველაზედ უფრო შენ მიყვარდი და არ მეკუთვნის ამ გვარად მოპყრობა!)

ამ სიტყვების შემდეგ პირქვე დაემხო იგი და მორთო ოხვრა და კვნესა. ძმა მოშორებით იჯდა და დაფიქრებული გაჰყურებდა მთებს. იმან წარბიც არ შეიხარა დის ლაპარაკზედდა ერთხელაც არ შეჰხედა. მისი ფიქრი და გონება სულ სხვაგანა ჰქროდა. ქალს ტკივილმა უფრო მოუარა; საწყალი მალ-მალ ოხრავდა, ხან წამოდგებოდა, ხან ერთს გვერდზედ გადაბრუნდებოდა და საშინლად იტანჯებოდა...

— ხუშა ღერბეთ! მაი ამჩვენშნაან ამიმთან, ერე პატვრენურ ამუცვრლ ეშხვი მუზნანი მად მაყა?!. (მალალო ღმერთო! რა დავაშავე ამისთანა, რომ უპატრონოდ დამაგდე და ერთი მომვლელიც არა მყავს?!) წაიბუტბუტა მან ჩუმად და ჩამოიწია ზეზე.

ამ წვალებაში იყო რამდენსამე წამს. ამასობაში ტკივილი თანდათან ემატებოდა და უძლიერდებოდა, გონება ეკარგებოდა და გული უსუსტდებოდა..

პატარა ხნის შემდეგ გაისმა რაღაც კნავილი... ამ ხმაურობამ ჩაფიქრებული ძმა ფიქრებისაგან გამოიყვანა და დას გადახედა. მიხვდა რაც ამბავი იყო, თვალი მოარიდა და რამდენსამე მანძილზედ გაშორდა. მაშინვე ფერი ეცვალა, თვალები გაუსისხლიანდა გამხეცებულ ნადირსავით. გულმა მალ-მალე დაუწყო ცემა და თმა ყალყზედ წამოუდგა... კნავილმა თან და თან იმატა და ბოლოს კაცი ადვილად გაარჩევდა, რომ ეს ხმა ახლად დაბადებულის ტირილი იყო...

ძმამ ერთხელ კიდევ გადაჰხედა თავის დას, რომელსაც მუხლზედ ახლად დაბადებული ედო, მღელვარება მოემატა და სახე სიბრაზით გაულურჯდა... დედა ეფერებოდა შვილს, თავზედ ელს უსვამდა და თავშალში ახვევდა...

— მგონია ვაჟია, წაიბუტბუტა ძმამ. მერე წამოდგა და დისაკენ წასვლა დააპირა, მაგრამ უცებ შეჩერდა, ცოტა დაფიქრდა, სახე დაელრიჯა და თავზედ ხელი იტაცა, ეტყობოდა რაღასაც აპირებდა და ვერ გაებედა, გული ერჩოდა, სული არ სთმობდა, და ამ ბრძოლის ჰო-არარაობაში იყო. ამ მდგომარეობაში დარჩა ის პატარა ხანს, მერე ასწია მაღლა თავი და დას მიუბრუნდა:

— რატომ უწინარეს შენ არ გახდი სიკვდილის მსხვერპლიო!.. დაიყვირა მან და გაექანა დისაკენ.

ერთის თვალის დახამხამებაზედ გამოსტაცა ბალღი დედას ხელიდგან და გადაისროლა უფსკრულში, სადაც კაცის თვალი ძლივს მისწვდებოდა, მხოლოდ კნავილიღა იყო ბავშვის უკანასკნელი ანდერძი...

ამისმა მნახველმა დედამ ერთი მაგრად შეჰკივლა, იტაცა თმაში ხელები და გაჰქანდა იქითკენ, საითკენაც მისი შვილი გადაისროლა ულმობელმა და შეუბრალებელმა ძმამ.

— ულმერთო! მაგისი რა ბრალია!? შვილო!.- იყო უკანასკნელი სიტყვები ქალისა. ერთი წუთიც არ გასულა ამ სიტყვების თქმის შემდეგ, რომ საცოდავი დედა 'ფრიალო კლდის სივრცეში ჩაიმალა და სამუდამოდ დაიკარგა!.. საცოდავმა შვილთან სიკვდილი ირჩია უიმისოდ დარჩენას...

სიჩუმე ჩამოვარდა... ბუნებამ თითქო ყურებიც არ შეიბარტყუნა ამ ამბავზედ და ისევ იმ სანახაობას წარმოადგენდა... მხოლოდ დრო გამოშვებით ცივი ქარი დაჰბერავდა ხოლმე და მთის წვერების ახლომახლო მომცურავს ღრუბლის ნაჭრებს აქეთ-იქით გაჰფანტავდა, თითქო უნდა ეს ამბავი მთაში მცხოვრებთაც გადასცესო.

ამ მოულოდნელმა, ზარ-დამცემმა ამბავმა ძმას გრძნობა დაუკარგა და მთელი სხეული აუკანკალდა. ისე უჩოჩქოლებდა გული, რომ ხმა ვერ ამოეღო. მთელს ტანში გაურბინა ჟრუანტელმა შიშისამ, რომელიც განუწყვეტლად, რაღაც გაუგებარის ძალით ერთის სხეულიდგან მეორეზედ გადადიოდა უვლიდა გულში, თავბრუსა ჰხვევდა და ბურანში აგდებდა. გონება და აზროვნება ჰღალატობდა... ფეხები ეკვეცებოდა, სამარისებური ფერი დასდებოდა. დასჩერებოდა მიწას და ხმას არ იღებდა. დრო გამოშვებით რაღაც იდუმალი ხმა ჩასძახოდა, მერე ისევ შესწყდებოდა და ვერ გამოეცნო, რა ხმა იყო ეს ხმა, ან ვის ეკუთვნოდა. „ულმერთო, მაგის რა ბრალია“!? მოესმა ძმას უფრო გარკვევით, სახე დაელრიჯა, ცივმა ოფლმა დაასხა ტ ტანჯვა გაუორკეცდა. ამ გამოურკვეველს მდგომარეობაში გაატარა რამდენსამე წამს, მერე ხელი ჩაიქნია უნუგეშოდ, თავისათვის წაიბუტბუტა: „თენგიზ! ორის ადამიანის სისხლი არ შეგრჩებაო“—და სახე-შეჭმუხნული გაუდგა გზას...

(დასასრული იქნება)

მესამე მოქმედება უფრო პაწია საამბობლად. მორეტტის ოჯახი კვლავ მდიდრულადა სცხოვრობს, უფრო ხელ-გაშლით, ვიდრე პეპპინოს დროს იყო. ხალხიც-კი ლაპარაკობს, რომ კარლოს სამკვიდრო დარჩენია ვისიმეო. ტერეზას მიერ თავ-მინებებული ორლანდო ბრუდება და უნდა ისევე შეეკედლოს თავისს სიძეს. კარლი სასამართლოშია, სადაც დე-ფორნარის ასამართლებენ და საიდგანაც ისეთი დაბრუნდება, რომ ადამიანის სახე აღარ ადევს. დე-ფორნარისათვის სასამართლოს შვიდის წლით საპატიმრო გარდაუწყვეტია. კარლი სცდილა იმის გამართლებას, მაგრამ მხოლოდ ეჭვი გამოუწვევია, ეჭვი ბრალმდებელისა და ბანკის დირექტორებისა. „ვიცავდი იმას, რომ ჩემი თავი დამეცვა! მეც ისევე ვფლანგავდი ბანკის ფულს, როგორც ის. ის ჰფლანგავდა სიღარიბისა და გაჭირვებისა გამო, მე იმიტომ, რომ ყველასათვის ბურთი ჩამეჩარა პირში, კრინტი არავის დაეძრა, რომ შენის ცოლის საყვარლის ხარჯითა სცხოვრებდიო... ის დაიღუპა და იმასთან ერთად მეცა... დაიწყება ეხლა გამოძიება... განსამართლება... ყოველსავე უფლებას ჩამომართმევენ, ჩემს სახელს ჩირქი მოეცხება, შვიდს წელიწადს ციხეში დამაპატიმრებენ... საშინელებააო“, ამბობს კარლი და ვერ იტანს ამ საშინელებას, ჯიბეში ბანკის ფულებს იწყობს, იღებს რევოლვერს და გაქცევას აპირებს. „რას სჩადიხარ, გავიწყდება, რომ შვილი გყავსო“, უყვირის ცოლი, რომელსაც ჰგონია, თავის მოკვლა აქვს განზრახულიო. „დამშვიდდიო, უპასუხებს ქმარი: ვცადე კიდეც თავის მოკვლა... მაგრამ ვერ გავბედე, ღონე არ შემწვდა... მამა ხარო!.. რაღა მამა ვარ, სუსტი, უღონო, უგნო და უხასიათო კაცი, რომელსაც სიყვარულის ნიჭიც-კი აღარა აქვს. მხოლოდ პატიოსანს კაცს შეუძლიან სიყვარული, მე-კი... მე უპატიოსნოცა ვარ და ქურდიც... უპატიოსნონი არ იბადებიან!.. შენ გამხადე ასეთი, განმშორდიო!“ და გარბის.

აი მთელი შინაარსი იმ პიესისა, რომელმაც საზოგადოებაში აზრთა განაწილება გამოიწვია. დღეს აქ შევჩერდეთ და ხვალ განვიხილოთ მისი ნაკლ-ღირსებანი.

მანოელიძე

### მცირე შენიშვნა.

(სოფლის ინტელიგენციის მიმართ)

მთელს დედამიწის ზურგზედ შავის ჭირის შიშითა ძრწიან. ყველგან დიდს მზადებაში არიან, რომ დაუპატიჟებელი სტუმარი სახლში არ შეუშვან და თუ საიდგანმე შეეპარათ, ღირსეულად სცენ პატივი. დიდი და პატარა, სწავლული და უსწავლელი, ჟურნალ-გაზეთობა და სხ. ყველანი შავის ჭირის ამბავში არიან. ასე გასინჯეთ, ყოველ სასარგებლო საქმეში აუჩქარებელი ტფილისის საბჭო და გამგეობაც-კი თავდარიგს შეუდგა, რომ ტფილისი მოუმზადებელი არ დახვდეს შავს ჭირს. ერთის სიტყვით, ყველგან და ყველანი დიდს მზადებაში არიან, მხოლოდ ყოველთვის და ყოველგან მივიწყებული ჩვენი სოფლები დღესაც მივიწყებულია და იმაზედ არავინ არას ჰფიქრობს, თითქოს აქ არა არის რაო, თითქოს შავის ჭირის შემოსვლას კი არა, ძლიერ სასიამოვნო სტუმარს მოელიანო. ვისაც ჩვენს სოფლებში უვლია და მისის ავ-კარგიანობისათვის თვალ-ყური უდევნებია, იმას ნათლად დაუდგება თვალ-წინ, რა დიდი უბედურება დატრიალდება, შავმა ჭირმა ჩვენს სოფლებში რომ თავი ამოჰყოს. ასეთის უბედურობის მომსწრე ჩვენ თითონ გახლდით, როცა 1892 წ. ქართლში ხოლერა გაჩნდა, და შავი ჭირი ხომ ხოლერაზე უფრო საშიში სენია.

რაც უნდა ცუდს მდგომარეობაში იყოს, ქალაქი მაინც უფრო უზრუნველ-ყოფილია ყოველ გვარის სენისაგან, ვიდრე სოფელი. ქალაქში ექიმებიც მოიპოვება, ფერშლებიც, აფთიაქებიც, საავად-მყოფოც და სხ. რომლებიც შეძლებისამებრ დაუყონებლივ ეხმარებიან ავადმყოფს. ჩვენი სოფლები ყოველსავე ამას მოკლებულია; მთელი სოფელი რომ გაწყდეს ექიმს ვერ ეღირსება. ეს საკვირველიც არ არის, რადგან თითოეულს მაზრაში 1—2 ექიმის მეტი ძვირად თუ სადმე მოიპოვება და აბა ერთი ორი კაცი რამდენს უნდა გაწვდეს.

ყოველისავე ამ გარემოებისა გამო ვისაც ჩვენი სოფლებისთვის გული შესტკივა. ეხლავე უნდა აღმოუჩინოს დახმარება, რითაც-კი შეუძლიან. ეხლავე უნდა შესდგეს თვითოეულ სოფელში სასანიტარო, რაზმი, რომელმაც სოფლის გასუფთავებისათვის უნდა იზრუნოს; საავადმყოფოები უნდა იქმნას აგებული სოფლის განაპირას იმ შემთხვევისთვის, თუ ვინიცობაა სენი გაჩნდა, თითოეულ სოფლისათვის დაქირავებული უნდა იყოს ფერშალი, ხოლო რამდენიმე სოფლისათვის ერთი ექიმი; თითოეულ სოფელში ეხლავე უნდა შეძენილ იქმნას სადეზინფექციო მასალა და სხ. ერთის სიტყვით, ყოველივე თავდარიგი ამ თავითვე უნდა მიიღონ, თორემ მერე გვიანღა იქმნება. ეს საქმე თვით სოფლის მკვიდრთა უფრო შეგნებულმა ნაწილმა უნდა იკისროს და დანარჩენი იმათი მეზობლები უთუოდ იმათ მხარს მისცემენ, რის მოწმეც ჩვენ თითონ ვიყავით ხოლერობის დროს. რასაც თავის თავად სოფელი ვერ შესძლებს, იმის გაკეთებას მთავრობა დაეხმარება, მხოლოდ დროზედ უნდა ამცნონ ყოველივე საჭიროება.

სოფლის ინტელიგენცია კარგს იზამს, თუ გაზეთის საშუალებით გამოაქვეყნებს სად რა ღონისძიება არის მიღებული და რის მიღება შეიძლება, რომ ამ გვარად სოფლებმა შეიტყონ და გაიგონ ერთმანეთის ამბავი შავის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად მომზადებისა.

ლ. ლევანიძე

## რუსეთი

—

17 ამ თვეს შესრულდება ასი წელი მას აქეთ, რაც რუსეთში ჭარხლის შაქრის წარმოება შემოიღეს. ამ წარმოების პირველი დამწყებნი რუსეთში იყვნენ: გენერალი ბლანკენაგელი, ა. ი. გერარდი და ი. ა. მალცევი. ბლანკენაგელმა 1797 წელს პირველად მოამზადა რუსეთში ჭარხლის შაქარი, ხოლო ამ საქმის გაუმჯობესება და გავრცელება წილადა ჰხვდა ა. ი. მალცევს, რომელმაც თავისის დაუღალავის მოქმედებით დაანახვა რუსეთს თუ რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია მიწათმოქმედებისა და მეურნეობისათვის ამ დარგს წარმოებისას. 1822 წელს მისის რჩევითა და მეცადინეობით გაიმართა რამდენიმე შაქრის ქარხანა, რომელშიაც განსაკუთრებით ჭარხლის შაქარს ამზადებდნენ. რუსეთის იმპერატორები ალექსანდრე I და ნიკოლოოზ I დიდის თანაგრძნობით ეკიდებოდნენ ამ საქმეს და მეორმოცე წლებში საქმე იქამდე მივიდა, რომ მემამულენი ჰავისა და ნიადაგის მიუხედავად, რაც შეიძლება მეტის ჭარხლის თესვა-მოშენებას სცდილობდნენ. ასე წარმოიდგინეთ, რომ ვოლოგდისა, კოსტრომისა და იაროსლავის გუბერნიებშიაც-კი სთესავდნენ ამ ფრიად სასარგებლო მცენარეს... დღეს მთელს ევროპაშია განთქმული რუსეთის ჭარხლის შაქარი თავისის საუკეთესო ღირსებით. ამის შემოღებამდე-კი მხოლოდ ლერწამის შაქარს აკეთებდნენ და ისიც ერთობ დაბალის ღირსებისას. მაგრამ ამისდა მიუხედავად, მაინც ერთობ ძალიან ძვირად ჰფასობდა იგი; მაგალითად, რუს-ოსმალთა ომების დროს გირვანქა 80 კ. იყიდებოდა.

—

მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათ ძალიან დიდს მნიშვნელობას აძლევს სასოფლო მეურნეობის წარმატების საქმეში. ამიტომ ხსენებულ სამინისტროს ყველა ამგვარ საზოგადოებათათვის უთხოვნია, დაწვრილებითი ცნობები წარმომიდგინეთ თქვენის მოქმედებისა და წეს-რიგის შესახებ, რომ ეს ცნობები სოფლის ხალხში გავავრცელოო.

—

გაზ. „ლუჩ“-ი ამბობს, რომ მთელის რუსეთის მომავალი დამოკიდებულია იმისაგან, თუ რა დამოკიდებულება ექმნება ჩვენს ქვეყანას აღმოსავლეთთან. თუ რუსეთის წარმოების განვითარება ეხლაც ისე წავიდა წინ, როგორც დღემდე მიდიოდაო, ამბობს გაზეთი, მაშინ ჩვენი ნამოქმედარი უთუოდ აღმოსავლეთში უნდა გავიტანოთ, რადგან დასავლეთ ევროპაში ჩვენს ნაწარმოებს ადგილი არა აქვს. თუმცა ეს ასეა, მაგრამ აქამდე ჩვენ ყურიც არ გაგვიბერტყია. მივაღწიეთ ჩინეთის კედლებადე, მივუახლოვდით ინგლისის საკუთრებასაც—ინდოეთს, რაოდენჯერმე სამეცნიერო განზრახვითაც გაემგზავრნენ იქით, მხოლოდ აღმოსავლეთის ეკონომიურის მდგომარეობის დაწვრილებითს ცოდნას ვერ დავიჩემებთ; ეს იმიტომ, რომ ამ აზრით იქით არვინ გაგვიგზავნია. თავი დავანებოთ ინგლისს, რომელმაც ყველგან ირგო გემრიელი ლუკმა, გერმანიამაც მჭიდრო ურთიერთობა დაიმკვიდრა აღმოსავლეთთან, თუმცა ჩვენთვის უფრო საინტერესოა ეს კავშირიო. ჩვენ უეჭველად უნდა ვეცადნეთ აღმოსავლეთის ეკონომიურად შესწავლას. კარგი იქნება გავმართოთ ხშირად სავაჭრო-სამრეწველო გამოფენანი, რომ ამითი ღონისძიება გვქონდეს ჩვენი ნაწარმოები იმათ გავაცნოთ და იმათი ჩვენ შევისწავლოთ. ყოველ შემთხვევაში ხელს უნდა ვუწყობდეთ კერძო საზოგადოებათაც, რომელნიც განიზრახვენ აღმოსავლეთში ვაჭრობის განვითარებას. საჭიროა იბეჭდებოდეს ყოველივე ის ცნობები, რაც-კი აღმოსავლეთის ეკონომიურს ცხოვრების ვითარებას შეეხება. ყოველივე ეს ისე საყურადღებოა და საჭირო, რომ ამათი სადღე-ხვალიოდ გადადება მხოლოდ წელს გაუმაგრებს ჩვენს მეტოქეებს.

## უცხოეთი

—

**კრიტი.** გაზეთ „პეტ. ვედ.“-ს მოჰყავს შინაარსი ევროპის დიდთა სახელმწიფოთა ელჩების იმ ნოტასი, რომელიც სამს ამ თვეს ათინაში გარდაეცა საბერძნეთის მთავრობას. „პირველადვე, როცა საბერძნეთმა სამხედრო ხომალდები და ნაღმიანი გემები გაჰგზავნა კრიტის კუნძულშიო, ნათქვამია ამ ნოტაში, ჩვენ სიტყვიერად გამოგიცხადეთ, რომ ევროპის სახელმწიფოები, რომელნიც აღმოსავლეთში მშვიდობიანობისა და მყუდროების დაცვას სცდილობენ, საბერძნეთის ამგვარ მოქმედებას ვერ დაეთანხმებიანო. დღეს გვეუბნებიან, რომ საბერძნეთის ჯარები უკვე მზად არიან ოსმალთა სამფლობელოს დასაპყრობლადო. თუ ეს მართალია, ჩვენ სრულს უკმაყოფილებას ვუცხადებთ საბერძნეთის მთავრობას და ამის უფლებაცა გვაქვს. აგრეთვე ჩვენს პირდაპირს მოვალეობას შეადგენს გამოვუცხადოთ საბერძნეთის მთავრობას, რომ საბერძნეთი სასტიკად აგებს პასუხს ასეთის მოქმედებისათვისაო“.

ამაზედ საბერძნეთის მინისტრმა, სკუზემ უპასუხა, რომ უკანასკნელმა უწესოებამ საშინელი არეულობა მოახდინა კრიტშიო. ამ კუნძულის მკვიდრნი ბერძენნი თავისის მამულდედულითა და სარჩო-საბადებელით ჩაუცვივდნენ ხელში სარწმუნოებრივის ფანატიზმით გონება-დაბნელებულს მაჰმადიანებს, რომელთა ლაგამ-ახდილსა და არა ადამიანურს მოქმედებას საზღვარი არა ჰქონდა. რა თქმა უნდა, საბერძნეთის მთავრობას არ შეეძლო გულ-ხელ-დაკრეფილი ეცქირა თავისის სისხლ-ხორცის თანამოძმეების ასეთ გაჭირვებულს მდგომარეობისათვისაო. ამიტომაც საბერძნეთმა გაჰგზავნა მხედრობა, რათა იარაღით ჩამოეგდო კრიტზედ მშვიდობიანობა და წესრიგი აღედგინაო.

—

**აღმოსავლეთის საქმე.** რას გვირჩევ, როგორ უნდა მოიქცეს საბერძნეთი ამ ჟამადო? გლადსტონისათვის უკითხავს ერთს ბერძენს. გლადსტონს შემდეგი პასუხი მიუცია მისთვის: „მე რომ ამ ჟამად ინგლისის მთავარ-მინისტრი ვიყო, ინგლისის ფლოტს ეგეის ზღვაში გავგზავნიდიო; ვეცდებოდი, რომ ეგეის ზღვის ყველა კუნძულზედ საბერძნეთის დროშა გაეშალათო; არას გზით ოსმალეთის ჯარს საბერძნეთში გადასვლის ნებას არ მივცემდიო. საბერძნეთი სხვა სახელმწიფოებს როდი უნდა ეკითხებოდეს, თუ როგორ უნდა მოიქცეს; ის მოვალეა—თავისს თანამოძმეებს მფარველობა გაუწიოს ყველგან, საცა-კი საჭიროდ დაინახავსო“.

ცეცხლზე რომ ნავთი დაასხას ვინმემ, სწორედ ისე იმოქმედა თურმე გლადსტონის სიტყვამ ბერძნებზედ. გლადსტონის სიტყვაო, მოგვითხრობენ გაზეთები, ელვასავით მოეფინა მთელს საბერძნეთს და მეორე-მესამე დღეს საბერძნეთის ფლოტი, ბატონიშვილის გიორგის უფროსობით, გაიგზავნა კრიტის წყლებშიო. ბერძნების გრძნობამ მამულიშვილობისამ უცბად იფეთქა. პირველ მოწოდებისათანავე 2000-მა ზღვის ჯარის-კაცმა თავისს სურვილით მოიყარა თავი და ამათში სულ ისინი ერივნენ, რომელთაც სამსახური დიდი ხანია შეუსრულებიათ. საბერძნეთის ყველა დაბა-ქალაქიდგან ამბები მოდის, რომ ხალხი დიდს მზადებაშია და მზად არის ყოველივე თავისი ქონება და თავისი თავიც მსხვერპლად შესწიროს საერთო საქმესაო. ევროპის მრავალს ქალაქებში დიდ-ძალი ახალ-გაზდობა სურვილს აცხადებს კრიტში წასვლისას ბერძნების საშველად. ფულები ხომ დიდი ხანია, რაც ევროპისა და ამერიკის ქალაქებში გროვდება. ინგლის-ეგვიპტის ბანკის დირექტორს ალექსანდრიაში, ბ-ნ გუსიოზს, ჩამომავლობით ბერძენს, ამავე ბანკის პარიზისა და ლონდონის განყოფილებათათვის უთხოვია, რომ რაც ბერძნების სასარგებლოდ ჩემს სახელობაზედ ვინმემ ფული მოიტანოს, მიიღეთო. ამ გვარადვე მოიქცნენ დანარჩენი ბანკებიც.

კრიტის გარდა დიდად ჰღელავს თურმე ხალხი ოსმალეთის სხვა კუნძულზედაც, საცა ბერძნები სახლობენ, და აგრეთვე ეპირსა და მაკედონიაში.

### ნაწყვეტი

—

ვაი შენ, ძმაო, მცონარო,
კერპო და გაუგონარო,
ლოთო, ფლიდო და გარყვნილო,
ნაგავთან შესაწონარო,
ყველასგან დამცირებულო,
სიცილით მოსაგონარო,
ვაგლახის ჯოჯოსაგანაც
საქმროდ არ მოსაწონარო!..

დ. მაჩხანელი

## დამაკვირდი

მამა-კაცს, რომელსაც დედა-კაცი თავზე აჯდება, თავი არა აქვს.

შტეტენ ჰეიმი

***

დაკარგულს წუთს მთელი საუკუნოებაც ვეღარ დაგვიბრუნებს.

შილლერი

***

იგი, ვისაც შეუძლიან კარგად იმსახუროს სიტყვა, უფრო მეტის ქების ღირსია ვიდრე ის, ვინც ქალაქებს იმსახურებს.

სოლომონ ბრძენი

### ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

მრავალგვარი და მრავალთესლის ხალხი სცხოვრებს ოსმალეთში. ერთი ამ მრავალთაგანი არის ეგრედ წოდებული „ზეიბეკი“. ზეიბეკი ოსმალურად ჰნიშნავს ბოგანა კაცს უბინაოს, უსახლ-კაროს, უთვისტომოს. ამ თესლის ხალხი ბევრი არ არის, ისინი ისე სცხოვრობენ, როგორც ბოშები, დაძრწიან, გადადიან ერთის ადგილიდამ მეორეში, ერთგან არ იკიდებენ ბინას. ისინი უფრო ანატოლიაში არიან. იმათი ერთად-ერთი ხელობა ის არის, რომ დღე და ღამ დაძრწიან საქურ-

დლად და საძარცვავად. თუ არ იქურდეს, არა სძარცვეს იმათთვის სიცოცხლე სიცოცხლე არ არის. ზეიბეკი ძნელად ეჩვევა ხვნა-თესვას. განსაკუთრებული თვისება იმისი საოცარი ზარმაცობაა, ვაჟკაცობით არ ვარგანან, ფლიდნი მოღალატენი და გამცემნი არიან. ოსმალებს არ უყვარან და თათრის ბოლოკებს ეძახიან. არავითარი სჯული არა სწამთ, თუმცა მაჰმადიანობენ და ერთნაირად სძარცვენ ქრისტიანს, თუ მაჰმადიანს. იმათთვის სულ ერთია: ოღონდ გაძარცონ კი ვინმე, სხვას არასფერს ჰნაღვლობენ.

ოსმალოს ქურთი უფრო ურჩევნია ზეიბეკსა, თუმცა-კი არც ქურთები უყვართ ძალიან. თუმცა ზეიბეკი დიდი ტანადია, კარგად მოსული, თავის დღეში მარტო არ დაეცემა არავისს, მარტო არავისს მიჰბედავს და თუ მიჰბედავს მარტო მაშინ, როცა დარწმუნებულია, რომ მე მოვერევიო. დაეცემიან ხოლმე მთელს სოფელს, საცა არც იარაღი აქვთ, არც არაფერი და სძარცვვენ, აწიოკებენ დიდსა და პატარასა შეუბრალებლად. ეს იმათი ხელობაა. სამხედრო სამსახურში, ჯარში არ მიდიან და თვით ოსმალოთაც არ უნდათ იმათი ყოფნა და შესვლა ჯარში. ამ უკანასკნელ ომის დროს მთელს რუმინიას მოედვნენ, სძარცვეს, სწვეს სოფლები, საძაგლად ეპყრობოდნენ დედაკაცებს, ჰხოცავდნენ ბალღებს და თვით ოსმალოსაც არა ჰზოგავდნენ.

ცოლის ყოლა არ იციან სამუდამოდ: რადგანაც უზინაო მაწანწალა ხალხია, დედაკაცი ერიდება ზეიბეკს და არ მისდევს ცოლად. ამასთან მეტად ულვთოთ და უდიერად ეპყრობიან დედა-კაცებს ასე, რომ ძნელია ადამიანი გულით მიეცეს. ეხლანდელ დროში ეს ხალხი თან და თან კლებულობს და, ვინ იცის, დრო მოვიდეს, იმათი ხსენებაც აღარ იყოს ქვეყანაზე.

ანატოლიაში ბევრი რამ ამბები დადის ამათზე. ერთი ამბავი სხვათა შორის იმისთანაა, რომ ღირს კაცმა მოისმინოს და თუ დღეს ზეიბეკებზე გვაბით საუბარი, სწორედ იმისათვის, რომ ეს ამბავი გვეამბნა მკითხველთათვის და მით მაგალითი გვეჩვენებინა იმისი, რომ ეგრე გაველურებულს ადამიანშიაც-კი, როგორც ზეიბეკია, მაინც ადამიანობა იპოვება ზოგჯერ და გრძნობა დიდბუნებოვანობისა.

აი ის ამბავი: ერთხელ ერთს ზეიმბეკს შეუყვარებია ერთი ალბანელი ქალი ძალიან ლამაზი და კარგის ოჯახისა. ტრფიალება-სიყვარული იქამდე მიღწევია, რომ ვეღარ მოუთმენია და როცა დრო ჩაუგდია, განდობია ქალს. ზეიბეკი თითონაც ლამაზი ყმაწვილი კაცი ყოფილა, მშვენიერი თვალ-ტანადი; მარდი და ვაჟ-კაცი. ქალსაც ძალიან მოსწონებია, მაგრამ რაკი შეუტყვია ალბანელი არ არისო და ზეიბეკია შიშით გასცლია და უთქვამს: „მე ჩემს დღეში ცოლად ბოგანოს არ გავყვებიო.“

ზეიბეკს სწყენია ეს, მაგრამ სიყვარულს ქალისას გაუკეთილშობილებია მისი გული. „მიბძანე და რასაც იტყვი, აგისრულებ, ოღონდ შემიყვარეო,“ უხვეწნია ზეიბეკს.

სწორედ ამ ხანებში გათქმული იყო ერთი ზეიბეკთა წინამძღოლი კაცი, რომლის შიშითა იქაურობა ძრწოდა. საცა დაეცემოდა თურმე, იქ შველა აღარ იყო. ოსმალოს მთავრობამ ბევრი სდია ამ ავაზაკთა უფროსს და წინამძღოლს, ბევრჯელ ფულიც აღუთქვა ვინც ან მკვდარს მოიტანს, ან ცოცხალს დაიჭერს, მაგრამ ვერა გააწყო-რა. ავაზაკთა წინამძღოლი, მარდი და ვაჟკაცი ხელში არავის ეძლეოდა.

როცა ქალმა შეიტყო, ზეიბეკის სიყვარული, წავიდა და მაშინვე დედ-მამას აუწყა. მამა მისი მოხელე იყო ოსმალოსი, უნდოდა თავი გამოეჩინა ვით სამსახურის კაცსა და ძალიან იამა ეს ამბავი. „ძალიან კარგიო, უთხრა მამამ ქალსა: თუ მართლა უყვარხარ, წავიდეს, თავიანთი წინამძღოლი მოჰკლას და თავი აქ მომიტანოს და მაშინ შეგრთავ.“ ქალმა დაიჯერა სიტყვა მამისა და, როცა შემთხვევა მიეცა ტრფიალის ნახვისა, უთხრა ეს პირობა. ზეიბეკი ჯერ გაფითრდა, მერე ალიმული აუვიდა სახეზე. „ალახ-ქერიმ! დაიძახა საშინელის ხმით: [illegible]

რა ეს თუ არა, ზედ-დაეკონა ქალის ხელსა, მაშინვე მოტრიალდა და წავიდა ასე, რომ უკანაც აღარ მოუხედნია. გავიდა სამი დღე და იმ ეზოში, საცა ქალი სცხოვრებდა, ორი ცხენოსანი ზეიბეკი მოვიდა და ფარდაგში რაღაც გახვეული მოიტანეს თან. „აქ ვის უნდოდა თავი ჩვენის წინამძღოლისა?“ იკითხეს. მაშინვე ეზოში გამოსცვივდნენ ქალი, მამა და ძმები. ზეიბეკებმა გაშალეს ფარდაგი და მოჭრილი თავი გადმოგორდა და ძირს დაეცა. ქალმა დაიკივლა და მივარდა თავს: მოჭრილი თავი მისის ტრფიალისა იყო და ქალმა იცნო. ზეიბეკები გაბრუნდნენ და ხმა ამოუღებლივ წავიდნენ. თვითონ ყმაწვილი-კაცი ყოფილიყო წინამძღოლი და თავი მოეკლა, რათა აღესრულებინა სურვილი საყვარელის ქალისა. ამბობენ, ქალი ჭკუიდამ შეიშალაო და სიკვდილამდე მჩვრებისა და ძონძებისაგან აკეთებდა თავს და უგუნურად ჰკოცნიდა და დასტრფოდაო. (პ. ი ლ.)

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო,

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გარდაუხადოთ დიდად პატივცემულს ქ. ან. მ. თუმ.-წერეთლისას, რომელმაც დიდი დახმარება და თანაგრძნობა აღმოგვიჩინა ნაძალადევში სკოლის დაარსებისათვის და აგრეთვე აღგვითქვა მთელის წლით „ჯეჯილის“ გამოგზავნა. იმედი გვაქვს, ამ კეთილს საქმეს სხვებიც მიჰბაძავენ და დაეხმარებიან ახლად დაარსებულს ჯერ ულონო სკოლას.

სკოლის გამგენი: გრ. ჩარკვიანი, ზაქ. ბელაკონევი, პეტ. ფთაძე და ვ. უტეშოვი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 თებერვალი

**პეტერბურგი.** 12 თებერვალს დიდის ამბით აკურთხეს გამოფენა სანადირო იარაღისა და მეთევზეობისა და მონადირეობის მრეწველობისა. გამოფენის კურთხევას დაესწრნენ დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული.

**კელნი.** ბერლინიდგან მოსულ წერილში, რომელიც „კელ. გაზ.“-შია დაბეჭდილი, ნათქვამია, რომ ის სიტყვები, რომელიც ბერლინსა, ლონდონსა და პარიზში წარმოსთქვეს მინისტრებმა, ერთ-ხმად უარ-ჰყვენ კრიტის საბერძნეთთან შეერთებასაო. ამ სიტყვებით საჭიროდ არის მხოლოდ დანახული, რომ კანეიას მიენიჭოს ზოგიერთ საქმეთა თვით-მმართველობა სულთანის უზენაესის მეთაურობით და აგრეთვე ისიც, რომ ბოლო მოეღოს საბერძნეთის საერთაშორისო უფლებათა წინაამდეგს მოქმედებას. წერილში მოხსენებულია ისიც, რომ პეტერბურგსა და ვენაში სრულიად ერთის აზრისანი არიან ამ საქმის შესახებაო. დიდნი სახელმწიფონი, როგორცა ჰსჩანს, შეთანხმებულან აგრეთვე იმის შესახებ, რომ თუ საბერძნეთმა არ მოიშალა წინააღმდეგობა, იმის დასამორჩილებლად საუკეთესო საშუალება ის არის, რომ შევიწყნაროთ გერმანიის წინადადება საბერძნეთის ნავთსადგურების ჯარის შემორტყმის შესახებაო.

**ბუდა-პეშტი.** აქ დაბეჭდილი [illegible] ზოგიერთის გაზეთის მიერ გავრცელებულს ხმას, რომ ვითომ ვენგრიამ იმიტომ მოუწოდა ზურგის ჯარი და ცხენებს იმიტომ ჰყიდულობს, რომ ჯარს საომრად ამზადებსო.

**ქრისტიანია.** ნანსენმა მეფე ოსკარსა სთხოვა: ნება მომეცით თქვენის უდიდებულესობის სახელი ვუწოდო ციმბირის მახლობლად ახლად აღმოჩენილს კუნძულსაო. მეფემ ნება დართო, მხოლოდ იმ პირობითკი, თუ რუსეთის მთავრობაც ამისი თანახმა იქნებაო. რუსეთის მთავრობამ უკვე განაცხადა თანხმობა.

**კანეია.** ბრძოლა გათავდა. ქალაქის ახლო-მახლო გაცილე ით უფრო მშვიდობიანობაა. ევროპის გემები ნაპირის ახლოს არიან გამწკრივებულნი. სიტიაში „ს-უშე“-ს გემზედ 300 ქრისტიანი და მაჰმადიანი აიყვანეს მოსარჩენად.

**სოფია.** კრება დაიშალა 22 თებერვალს და კვლავ თავს მოიყრის მაშინ, როცა სერბიის მეფე სოფიაში მობრძანდება. ამის გამო უფრო შესაძლებელადა ხდება ის გარემოება, რომ სავაჭრო ხელ-შეკრულობანი ამ ორთა სახელმწიფოთა შორის დადებული იქნება.

**ნიუ-იორკი.** მართლ-მადიდებელ საურთიერთო დახმარების საზოგადოების მმართველობამ, რომელიც ამერიკაში ჰმოღვაწეობს, საპატიო წევრად აირჩია ე. ბოგდანოვიჩი.

**ქაირო.** ინგლისის მისსია, რომელიც მენელიკთან უნდა გაიგზავნოს, ორის კვირის შემდეგ გაემართება აბაშეთისაკენ.

## „ივერიის“ ფოსტა.

**ქ—ისს, კნ. ხ. მ—ძისას:** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება. ისევ „ცნობის ფურც.“-ვე მიჰმართეთ, რადგან ეგ ამბავი, რომელსაც უარ ჰყოფთ, იქ იყო დაბეჭდილი.

**კ—ვს, დროებით ძაუგელს:** სიამოვნებით მივიღებთ თქვენგან მოწოდილს ამბებს. ეგ ამბავი-კი მანდაურ ქალთა და კაცთა დაკნინებისა არ დაიბეჭდება, რადგან ეგ ამბავი არ ახალია—ძველია.

**ძ.—ს—კს. არ. ბ—ვას:** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება, რადგან მაგ სასწავლებლის საქმე უკვე გამორკვეულია და მაგის შესახებ ბაასი და ლაპარაკი უადგილოა და დაგვიანებული.

## გამოსაცემი ცნობანი.

### სავაჭრო ამბები

განჯის ოლქის სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ 20 მარტს განჯაში დანიშნულია ვაჭრობა შემდეგ მამულების გასასყიდად: ა. ტურმიშევის მამულისა, რომელიც 500 მან. არის დაფასებული და გაჯი-ბაბა-კიშიას-ქერბალა-ყიაზუმ-ოღლის მამულისა, რომელიც 500 მან. არის დაფასებული.

—

კავკასიის ოლქის საინტენდანტო მმართველობა აცხადებს, რომ ქ. ტფილისში 18 თებერვალს იჯარით გაიცემა ავეჯეულობის საწყობისათვის ხის [illegible] საქმე.

—

ტფილისის [illegible] სააუდიტო-ფოს სამეურნეო კომიტეტი აცხადებს, რომ 24 თებერვალს იჯარით გაიცემა სამუშაო, რომელიც უნდა გაკეთდეს თვით საავადმყოფოში, ფერშლების სასწავლებელში და სულით ავადმყოფთა განყოფილებაში.

—

ტფილისის გუბერნიის მმართველობა აცხადებს, რომ 10 მაისს ხელ-მეორედ დანიშნულია ქ. ტფილისში საჯარო ვაჭრობა ა. იზმაილოვის ქალის მამულის გასასყიდად. ეს მამული 23,000 მან. არის დაფასებული.

—

ბაქოს ოლქის სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ ბაქოში, 7 მაისს საჯარო ვაჭრობით გაიყიდება კანცლოვსკის მამული, 1000 მან. დაფასებული.

---

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** ამითი აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამომრჩეველთა ნუსხანი ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ასარჩევად, რომელიც დანიშნულია 1897 წლის 18 მაისისათვის, უკვე შედგენილია და ქალაქის გამგეობა შეუდგა შესავსებელ ამომრჩეველთა ნუსხას შედგენას. ამ ნუსხაში მხოლოდ ქ. ტფილისის ის მამულის პატრონნი იქმნებიან ჩარიცხულნი, რომელნიც 1896 წლის პირველ ექვსის თვის დასაფასებელს გარდასახადს ამა წლის 5 მარტამდის შემოიტანენ.

(3—6.—2)

---

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1897 г. НА ТРИ ИЗДАНЯ:

I

„НОВОСТИ ДНЯ“

ГОДЪ ИЗДАНІЯ XV-Й
ежедневная газета
съ портретами государственныхъ и общественныхъ дѣятелей.

Подписная цѣна въ Москвѣ и на города: съ доставкою на годъ—8 р., на шесть мѣсяцевъ—5 р. 50 к., на три мѣсяца—3 руб., на одинъ мѣсяцъ—1 руб.

II

„НОВОСТИ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“.

Выходятъ ежемѣсячными книжками и даютъ въ русскомъ переводѣ лучшія произведенія иностранныхъ писателей: французскихъ, немецкихъ, англійскихъ, италіянскихъ, шведскихъ и проч.

Подписная цѣна на годъ 3 р. Вмѣстѣ съ еженедѣльнымъ литературнымъ приложеніемъ „СЕМЬЯ“ на годъ 4 рубля.

III

Еженедѣльное иллюстрированное литетатурное приложеніе

„СЕМЬЯ“

**Выходитъ по слѣдуюшей программѣ:** изящная литература (романы, повѣсти, разсказы, очерки, стихотворенія, драматическ. произведенія—оригинальныя и переводныя); научныя обозрѣнія, литературная, театральная, музыкальная и художественная критика; историческіе очерки и путешествія; біографіи; спортъ всѣхъ видовъ; изобрѣтенія, хозяйственныя свѣдѣнія, моды, смѣсь; задачи, шарады, ребусы, музыкальныя ноты; почтовый ящикъ; иллюстраціи ко всѣмъ отдѣламъ, портреты выдающихся дѣятелей, рисунки, объясненія къ рисункамъ, виньетки и преміи.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА 2 Р. ВЪ ГОДЪ.
ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА ВСѢ ТРИ ИЗДАНІЯ
12 РУБ.

За эту сумму подписчикъ, слѣдовательно, получаетъ: 1) годовой экземпляръ газеты „НОВОСТИ ДНЯ“; 2) ежемѣсячный журнал „НОВОСТИ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“; 3) еженедѣльное иллюстрированное приложеніе „СЕМЬЯ“.

„Новости Дня“ и „Новости Иностранной литературы“ въ годъ—11 р. „Новости Дня“ и „Семя“—10 р.

АДРЕСЪ: москва, „новости дня“.

Въ главной конторѣ газеты „НОВОСТИ ДНЯ“ продается **АЛЬБОМЪ**
„коронаціонныя торжества“
(изданіе „новостей дня“ и „семья“).

альбомъ отпечатанъ на хорошей бумагѣ и заключенъ въ изящную обложку, украшеиную акварельнымъ рисункомъ Л. О. Пастернака. Текстъ альбома заключаетъ въ себѣ историческую часть и подробное описаніе коронаціонныхъ торжествъ въ маѣ 1896 г. Въ альбомѣ помѣщено 90 рисунковъ и 100 портретовъ и группъ.

Цѣна альбому 2 руб., съ пересылкой 2 руб. 50 коп.

Дозволено цензурою. Тифлисъ 13 го Февраля 1897 г. — სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. — რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.